სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/15

ქ. თბილისი 7 თებერვალი 2019 წ.

სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ივ. ჯაგოდნიშვილის მოხსენებითი ბარათის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების “მე-8 მუხლის, სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ივ. ჯაგოდნიშვილის 01-02-2019 წლის №01-09-33/500 მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 თებერვლის №01-05-02/4 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოწონებულ იქნეს სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე წარმოდგენილი წინადადება „ჩინეთის კვლევების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის“ შექმნის თაობაზე და აღნიშნული ინსტიტუტის დებულება დასამტკიცებლად გადაეცეს სტუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი);
2. საკითხს წარმომადგენლობის საბჭოს (სენატი) სხდომაზე წარადგენს ფაკულტეტის დეკანი, პროფ. ივ. ჯაგოდნიშვილი;

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**